თანამედროვე ოსური პოეტური დისკურსი ლიტერატურულ-პოლიტიკურ ჟურნალ „დარიალში“: 2025 წლის ნომრების ანალიზი

CONTEMPORARY OSSETIAN POETIC DISCOURSE IN THE LITERARY AND POLITICAL JOURNAL DARIAL: AN ANALYSIS OF THE 2025 ISSUES

ნინო მინდიაშვილი
პროფესორი
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
Nino Mindiashvili
PhD in Philology, Professor
Caucasus International University
Email: nino.mindiashvili@ciu.edu.ge
ORCID: 0000-0002-6311-3665

ანოტაცია

სტატიაში შესწავლილია თანამედროვე ოსური პოეტური დისკურსის ძირითადი თემატური და სემანტიკური მახასიათებლები ლიტერატურულ-პოლიტიკურ ჟურნალ „დარიალში“. კვლევის მიზანია, გამოიკვეთოს ის თემები, მოტივები და მხატვრული სტრატეგიები, რომელთა საშუალებითაც პოეტურ ტექსტებში რეპრეზენტირდება ისტორიული მეხსიერება, ეროვნული და კულტურული იდენტობა, წინაპართა მემკვიდრეობა, ომის გამოცდილება, ენა და წარსულისა და აწმყოს ურთიერთმიმართება. კვლევის ემპირიულi ბაზა ემყარება 2025 წელს ჟურნალში გამოქვეყნებულ როგორც თანამედროვე ავტორთა პოეტურ ტექსტებს, ისე თარგმანებსა და ლიტერატურული მემკვიდრეობის ნიმუშებს, რომელთა ხელახალი გამოქვეყნებაც თანამედროვე კულტურულ კონტექსტში წარსულის პოპულარიზაციას ემსახურება.

კვლევა ეფუძნება ტექსტის, თემატური და დისკურსული ანალიზის მეთოდებს. თეორიულ ჩარჩოდ გამოყენებულია კოლექტიური და კულტურული მეხსიერების კონცეფციები, რომელთა მიხედვითაც მეხსიერება მხოლოდ წარსულის შენახვას კი არ გულისხმობს, არამედ აწმყოში სოციალური და კულტურული მნიშვნელობების ხელახალ კონსტრუირებას.

შესწავლილი მასალა ცხადყოფს, რომ ჟურნალ „დარიალში“ გამოქვეყნებულ პოეტურ ტექსტებში ისტორიული მეხსიერება და კულტურული თვითიდენტიფიკაცია ერთმანეთთან მჭიდროდ არის დაკავშირებული. წარსული წარმოდგენილია არა

როგორც დასრულებული დროითი სივრცე, არამედ როგორც აწმყოს კულტურული თვითგანსაზღვრის აქტიური საფუძველი. ამ პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სამშობლოს, წინაპრების, მშობლიური ენის, ომისა და პირადი მეხსიერების მოტივებს.

საკვანძო სიტყვები: ოსური პოეზია, პოეტური დისკურსი, ჟურნალი „დარიალი“, ისტორიული მეხსიერება, კულტურული მეხსიერება, ეროვნული იდენტობა, კულტურული მემკვიდრეობა, ოსური ენა.

Abstract

Literary periodicals function not only as platforms for the dissemination of literary texts but also as important cultural media that contribute to the formation of cultural memory and national identity. From this perspective, the literary and political journal *Darial*, published in Vladikavkaz, is one of the major platforms of the contemporary Ossetian literary process.

The aim of this study is to identify the principal characteristics of contemporary Ossetian poetic discourse through an analysis of the poetic texts published in the 2025 issues of *Darial* and to determine the journal's role as a cultural medium. The theoretical framework draws upon studies of cultural memory, national identity, and discourse analysis. Methodologically, the research employs textual, thematic, and discourse analysis.

The findings demonstrate that although the poetic texts encompass a wide range of themes, the dominant thematic directions are historical memory and national identity. The poems function as an important means of interpreting historical experience, preserving cultural heritage, and expressing national self-awareness.

The novelty and originality of the study lie in approaching *Darial* not merely as a literary periodical but also as a cultural medium that plays an active role in shaping contemporary Ossetian poetic discourse and constructing modern Ossetian cultural narratives.

Keywords: *Darial*; Ossetian poetry; poetic discourse; cultural memory; national identity.

შესავალი

ლიტერატურული პერიოდიკა თანამედროვე კულტურულ სივრცეში მხოლოდ მხატვრული ტექსტების გავრცელების საშუალება არ არის. ჟურნალი, როგორც კულტურული მედიუმი, მონაწილეობს საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი საკითხების შერჩევაში, მათ ინტერპრეტაციასა და გარკვეული მეხსიერებითი და იდენტობითი ნარატივების ფორმირებაში. ამ თვალსაზრისით, ლიტერატურული გამოცემების შესწავლა შესაძლებლობას იძლევა, დავაკვირდეთ არა მხოლოდ

ცალკეული ავტორების შემოქმედებით ხედვებს, არამედ იმ კულტურულ მნიშვნელობებსაც, რომელთა გაერთიანებასა და გავრცელებას კონკრეტული გამოცემა ემსახურება.

ამ კონტექსტში განსაკუთრებით საინტერესოა ლიტერატურულ-პოლიტიკური ჟურნალი „დარიალი“, რომელიც ვლადიკავკაზში 1991 წლიდან გამოიცემა და აერთიანებს მხატვრულ ლიტერატურას, ლიტერატურულ კრიტიკას, პუბლიცისტიკასა და სხვა მასალას. ჟურნალის ოფიციალურ არქივში 2025 წლის ექვსივე ნომერია წარმოდგენილი, რაც საშუალებას იძლევა, კომპლექსურად განვიხილოთ საკვლევი საკითხი.

2025 წლის ნომრების თავისებურებას ქმნის ტექსტების მრავალფეროვნება: თანამედროვე ავტორთა პოეზიასთან ერთად წარმოდგენილია თარგმანები, სხვადასხვა პერიოდის ლიტერატურული მემკვიდრეობის ტექსტები და საიუბილეო თარიღებთან დაკავშირებული მასალა.

სტატიის აქტუალურობას განაპირობებს ის გარემოება, რომ ოსური კონფლიქტისა და მის გარშემო ჩამოყალიბებული განსხვავებული მეხსიერებითი ნარატივების ფონზე ოსური ლიტერატურის მიერ ისტორიული გამოცდილების, კულტურული მემკვიდრეობისა და ეროვნული თვითაღქმის რეპრეზენტაცია განსაკუთრებულ კვლევით ინტერესს იწვევს. პოეზია ამ პროცესში სპეციფიკურ ფუნქციას ასრულებს: ლირიკული ტექსტი ისტორიულ გამოცდილებას ხშირად არა ფაქტობრივი თხრობის, არამედ ემოციური მეხსიერების, სიმბოლოს, მეტაფორისა და პერსონალური განცდის საშუალებით წარმოაჩენს.

კვლევის მიზანია 2025 წლის განმავლობაში ჟურნალ „დარიალში“ გამოქვეყნებული პოეტური ტექსტების საფუძველზე თანამედროვე ოსური პოეტური დისკურსის ძირითადი თემატური და სემანტიკური პარადიგმების გამოვლენა. **კვლევის ობიექტი** განსაზღვრულია ჟურნალის 2025 წლის ექვს ნომერში წარმოდგენილი პოეტური მასალის კონტექსტში, ხოლო **კვლევის საგანი** ისტორიული მეხსიერების, ეროვნული და კულტურული იდენტობის, წინაპართა მემკვიდრეობის, ომის გამოცდილების, ენისა და პირადი მეხსიერების პოეტური რეპრეზენტაციას წარმოაჩენს.

კვლევის მეთოდოლოგიურ საფუძველს ქმნის ტექსტუალური, თემატური და დისკურსული ანალიზი. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა განმეორებად სახეებსა და მოტივებს, ლირიკული „მე“-სა და კოლექტიური „ჩვენ“-ის მიმართებას, წარსულისა და აწმყოს ურთიერთკავშირს და იმ მხატვრულ საშუალებებს, რომელთა მეშვეობითაც ინდივიდუალური გამოცდილება კოლექტიური მეხსიერების ნაწილად გარდაიქმნება.

შესწავლილი მასალის საფუძველზე იკვეთება ის თემატური ინტერპრეტაციები, რომლებიც წარმოჩენილია 2025 წლის ჟურნალ „დარიალის“ ნომრებში, რაც შემდეგი კონცეპტების მიხედვით ჩამოყალიბდა:

მსჯელობა და შედეგები

ისტორიული და კულტურული მეხსიერების კვლევა ეფუძნება წარმოდგენას, რომ წარსულის აღქმა სოციალური და კულტურული პროცესებისგან დამოუკიდებელი არ არის. მორის ჰალბვაქსის აღნიშნავს, რომ ინდივიდუალური მეხსიერება სოციალური ჯგუფების მიერ შექმნილ ჩარჩოებში ყალიბდება და წარსულის გახსენება ყოველთვის გარკვეულ სოციალურ კონტექსტში ხდება (Halbwachs, 1992). შესაბამისად, ლიტერატურული ტექსტი შეიძლება განვიხილოთ როგორც სივრცე, რომელშიც პირადი გამოცდილება კოლექტიური მნიშვნელობებით იტვირთება.

იან ასმანის კულტურული მეხსიერების კონცეფცია ამ პერსპექტივას კიდევ უფრო ავითარებს. კულტურული მეხსიერება მოიცავს იმ ტექსტებს, სიმბოლოებსა და კულტურულ ფორმებს, რომელთა საშუალებით საზოგადოება საკუთარი წარსულის შესახებ მნიშვნელოვან წარმოდგენებს თაობიდან თაობას გადასცემს (Assmann, 2011). ამ თვალსაზრისით, პოეზიის ფუნქცია მხოლოდ ესთეტიკური არ არის. პოეტური ტექსტი შეიძლება იქცეს კულტურული მეხსიერების მატარებლად, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მასში მეორდება წინაპრების, სამშობლოს, ენის, ომისა და ისტორიული გამოცდილების კონცეპტები.

ეროვნული იდენტობის ჩამოყალიბების პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საერთო კულტურულ ნარატივებსაც. ბენედიქტ ანდერსენი ავითარებს მოსაზრებას, რომ ეროვნული ერთობა უპირატესად წარმოსახვითი კავშირების საშუალებით იქმნება, რომელთა გავრცელებაში ბეჭდურ კულტურას მნიშვნელოვანი როლი აქვს (Anderson, 2006). ლიტერატურული ჟურნალი ამ შემთხვევაში წარმოადგენს ერთ-ერთ სივრცეს, სადაც საერთო ისტორიული და კულტურული გამოცდილება ტექსტუალურ ფორმას იძენს.

„დარიალის“ პოეტური მასალის ანალიზი სწორედ ამ პერსპექტივიდან არის მნიშვნელოვანი: ჟურნალში წარმოდგენილი ტექსტები არ ქმნის ერთგვაროვან პოეტურ მოდელს, თუმცა მათ აერთიანებს განმეორებადი მეხსიერებითი და იდენტობითი მოტივები. შესაბამისად, კვლევის ინტერესის საგანია არა მხოლოდ ის, თუ რას ამბობენ კონკრეტული ავტორები, არამედ ისიც, როგორ იქმნება საერთო სემანტიკური სივრცე სხვადასხვა თაობისა და პოეტური გამოცდილების მქონე ავტორთა ტექსტების თანაარსებობით.

2025 წლის „დარიალის“ პოეტურ ტექსტებში ერთ-ერთ ყველაზე თვალსაჩინო პარადიგმას ისტორიული მეხსიერება ქმნის. წარსული ტექსტებში ხშირად ჩნდება

წინაპართა სახით, სამშობლოს ხატებით, ომის გამოცდილებითა და კულტურული მემკვიდრეობის ნიშნებით. ამასთან, წარსულის მიმართება აწმყოსთან არ არის ნეიტრალური: მისი გახსენება დაკავშირებულია იდენტობის განმტკიცებასთან და კულტურული უწყვეტობის განცდასთან.

ამ მხრივ მნიშვნელოვანია ჟურნალის 2025 წლის ნომრებში წარმოდგენილი საიუბილეო და მემორიალური მასალა. განსაკუთრებით გამოკვეთილია მეორე მსოფლიო ომის დასრულებიდან 80 წლისთავთან დაკავშირებული ტექსტები, რომლებშიც ომი წარმოდგენილია როგორც პირადი და კოლექტიური მეხსიერების ნაწილი.

სარაბი ჩეხოევის ტექსტში „Я на войне такое видел…“ ომის გამოცდილება უშუალო მოწმის პოზიციიდან არის წარმოდგენილი. თვით სათაურის ფორმულირებაც კი - „მე ომში ასეთი რამ ვნახე“-ყურადღებას ამახვილებს ხედვასა და პირად გამოცდილებაზე. ლირიკული ან მთხრობელი სუბიექტი აქ ისტორიული მოვლენის აბსტრაქტული შემფასებელი კი არ არის, არამედ გამოცდილების მატარებელია. შედეგად, ისტორიული მეხსიერება პერსონიფიცირდება და პირად მოგონებად გვევლინება (Чехоев, 2025).

ომის მეხსიერების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი თავისებურება მისი თაობათაშორისი გადაცემაა. ტექსტებში წარსული ხშირად იმგვარად არის წარმოდგენილი, რომ იგი უკვე არსებული თაობის გამოცდილებას სცდება და შემდგომი თაობებისთვის გადასაცემ ღირებულებად იქცევა. ამგვარად, ისტორიული მეხსიერება არა მხოლოდ წარსულის გახსენებას, არამედ კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებასაც გულისხმობს.

შამილ ჯიქაევის ლექსი „Наследие предков“ ამ კონტექსტში განსაკუთრებით ნიშანდობლივია. სათაურშივე წარმოდგენილი „წინაპართა მემკვიდრეობის“ ცნება მიანიშნებს წარსულსა და აწმყოს შორის უწყვეტ კავშირზე. მემკვიდრეობა აქ მატერიალურ საგნებთან ერთად კულტურულ და სულიერ ფასეულობებსაც მოიცავს. წინაპრები წარმოდგენილნი არიან არა მხოლოდ ისტორიული ფიგურების, არამედ თანამედროვე იდენტობის საფუძვლის სახით (Джикаев, 2025).

ამგვარად, „დარიალის“ პოეტურ დისკურსში ისტორიული მეხსიერება აქტიური ფუნქციის მატარებელია. წარსული არ არის ჩაკეტილი დროითი სივრცე; იგი აწმყოში განაგრძობს მოქმედებას და მონაწილეობს კულტურული თვითაღქმის ჩამოყალიბებაში.

ისტორიული მეხსიერების პარალელურად 2025 წლის პოეზიაში მკაფიოდ გამოიკვეთება ეროვნული და კულტურული თვითიდენტიფიკაციის პრობლემა. ეს

უკანასკნელი ძირითადად რეალიზდება სამშობლოს, წინაპრების, მშობლიური ენისა და კულტურული მემკვიდრეობის მოტივების საშუალებით.

პოეტურ ტექსტებში სამშობლო მხოლოდ გეოგრაფიული სივრცე არ არის. იგი ემოციური და კულტურული კუთვნილების სივრცედ წარმოჩნდება, რომელშიც ერთიანდება ბავშვობის მოგონებები, წინაპართა ხსოვნა, ბუნების სახეები და მშობლიური ენა. შესაბამისად, სამშობლოს განცდა ინდივიდუალურ და კოლექტიურ მეხსიერებას შორის დამაკავშირებელ ფუნქციას ასრულებს.

ამ კონტექსტში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს კოლექტიური „ჩვენ“-ის გამოყენებას. ამურხან კიბიროვის ლექსის სათაური „Свои мы в жизни настоящей“ უკვე შეიცავს „ჩვენ“-ის თვითიდენტიფიკაციის მოდელს. ლექსში კოლექტიური სუბიექტი საკუთარ კუთვნილებას უპირისპირებს გაუცხოების შესაძლებლობას. „საკუთარის“ განცდა აქ მხოლოდ პიროვნულ ურთიერთობას არ გულისხმობს; იგი კულტურული და სოციალური ერთობის ნიშნად გარდაიქმნება (Кибиров, 2025).

კიბიროვის ტექსტებში „ჩვენ“-ის მნიშვნელობა განსაკუთრებით ძლიერდება იმ შემთხვევაში, როდესაც პოეტური სუბიექტი წარსულსა და აწმყოს შორის კავშირს ქმნის. წარსულის გახსენება მას საშუალებას აძლევს, საკუთარი იდენტობა განსაზღვროს არა იზოლირებულად, არამედ წინაპართა და კულტურული მემკვიდრეობის კონტექსტში.

მსგავსი ტენდენცია იკვეთება შამილ ჯიქაევის ტექსტებში. ლექსებში „Наследие предков“ და „Васо Абаев“ კულტურული მემკვიდრეობის იდეა დაკავშირებულია ისტორიული და ლიტერატურული მეხსიერების შენარჩუნებასთან. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ვასო აბაევის ფიგურა, რომელიც წარმოდგენილია არა მხოლოდ როგორც კონკრეტული ისტორიული პიროვნება, არამედ როგორც კულტურული მემკვიდრეობის სიმბოლური მატარებელი (Джикаев, 2025).

ამგვარად, ეროვნული იდენტობა „დარიალის“ პოეტურ დისკურსში არ არის მხოლოდ პირდაპირ დეკლარირებული კუთვნილების განცდა. იგი იქმნება კულტურული მეხსიერების სხვადასხვა ელემენტის-ენის, წინაპრების, ისტორიის, ლიტერატურისა და სამშობლოს-ურთიერთქმედებით.

„დარიალის“ პოეტური მასალის მნიშვნელოვანი თავისებურებაა მრავალენოვანი კულტურული სივრცე. ჟურნალში წარმოდგენილია ოსურიდან რუსულად შესრულებული თარგმანები, ასევე სხვა ენებიდან თარგმნილი ტექსტები. ამგვარი პრაქტიკა ერთი მხრივ აფართოებს ტექსტების მკითხველთა წრეს, მეორე მხრივ კი ოსური ლიტერატურის ნაწარმოებებს უფრო ფართო კულტურულ სივრცეში აქცევს.

ამ კონტექსტში ენა მხოლოდ კომუნიკაციის საშუალებად არ უნდა განვიხილოთ. იგი კულტურული მეხსიერების მატარებელია. კონკრეტული პოეტური ტექსტის თარგმნა ნიშნავს არა მხოლოდ სიტყვების ერთი ენიდან მეორეზე გადატანას, არამედ იმ კულტურული კონტექსტის ახალ მკითხველამდე მიტანასაც, რომელშიც ტექსტი შეიქმნა.

ამის თვალსაჩინო მაგალითია ამურხან კიბიროვის პოეტური მასალა, რომელიც ჟურნალში დიგორული ენიდან კ. გადაევის თარგმანით არის წარმოდგენილი. თარგმანის არსებობა ხაზს უსვამს ოსური ლიტერატურის შიდა ენობრივ მრავალფეროვნებას და იმავდროულად ჟურნალის შუამავლურ ფუნქციას. ნაფი ჯუსოითის ლექსებიც ჟურნალში ოსურიდან რუსულად არის თარგმნილი. ამდენად, „დარიალი“ ერთდროულად ასრულებს ლიტერატურული არქივისა და კულტურული მედიატორის ფუნქციას.

კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნების თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ძველი ტექსტების ხელახალი გამოქვეყნებაც. ვასო მალიევის „В поезде“ 2025 წლის ჟურნალში წარმოდგენილია როგორც ლიტერატურული მემკვიდრეობის ნიმუში. ტექსტის თანამედროვე ნომერში დაბრუნება წარსულსა და აწმყოს შორის დიალოგს ქმნის და აჩვენებს, რომ კულტურული მეხსიერება მხოლოდ ახალი ტექსტების შექმნით არ ყალიბდება; იგი ასევე მოიცავს წარსულის ტექსტების ხელახალ აქტუალიზაციას (Малиев, 2025).

ამგვარად, ენა, თარგმანი და ლიტერატურული არქივი „დარიალის“ პოეტურ დისკურსში ერთიან კულტურულ სივრცეს ქმნის. ჟურნალის ფუნქცია ამ შემთხვევაში მხოლოდ ახალი ტექსტების გამოქვეყნება კი არ არის, არამედ ლიტერატურული მეხსიერების შენარჩუნება და მისი თანამედროვე მკითხველისთვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაც.

ავტორთა პოეტური ხედვები და ძირითადი თემატური პარადიგმები

1. ამურხან კიბიროვი: „საკუთარის“ განცდა და წინააღმდეგობის დისკურსი

ამურხან კიბიროვის პოეზია 2025 წლის „დარიალის“ ერთ-ერთ მნიშვნელოვან ტექსტურ ჯგუფს ქმნის. მისი ლექსები აერთიანებს პირადი და კოლექტიური მეხსიერების ელემენტებს, ბავშვობის მოგონებებს, ბუნების სახეებსა და კუთვნილების განცდას.

ლექსში „Свои мы в жизни настоящей“ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კოლექტიური სუბიექტის ფორმირება. „ჩვენ“ ქმნის ერთიანობის სივრცეს, რომელშიც ინდივიდუალური გამოცდილება საერთო კულტურულ გამოცდილებად გარდაიქმნება. „საკუთარის“ განცდა დაკავშირებულია იმასთან, რომ ლირიკული

სუბიექტი საკუთარ თავს კონკრეტულ კულტურულ და ისტორიულ გარემოში ხედავს.

კიბიროვის რამდენიმე ტექსტში ბუნების სახეები ასევე მნიშვნელოვან სემანტიკურ ფუნქციას ასრულებს. მაგალითად, „Жалобы дикой груши“-ში ბუნების პერსონიფიცირებული სახე ადამიანის მეხსიერებისა და ტკივილის გამომხატველ საშუალებად იქცევა. ბუნება აქ დეკორატიული ფონი არ არის; იგი ადამიანის განცდის მატარებელია.

„Мы не из рода райских птах“ კი მკვეთრად გამოყოფს „ჩვენ“-ისა და „სხვა“-ს დაპირისპირების მოდელს. „სამოთხის ფრინველთა მოდგმისგან არ ვართ“ ტიპის თვითგანსაზღვრა პოეტურ სუბიექტს რეალისტურ, რთულ და წინააღმდეგობებით სავსე სამყაროსთან აკავშირებს. ამ ტექსტში „სიმღერისა“ და „ყვირილის“ ოპოზიცია ასევე მნიშვნელოვანია: პოეზია შეიძლება იქცეს როგორც ესთეტიკური თვითგამოხატვის, ისე ტკივილისა და წინააღმდეგობის გამოხატვის ფორმად.

კიბიროვის პოეტური ხედვის ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელი სწორედ ამ ორმაგობაში მდგომარეობს: პირადი მოგონება თანდათან კოლექტიური გამოცდილების ნიშნად გარდაიქმნება, ხოლო ბუნებისა და ბავშვობის სახეები კულტურული კუთვნილების განცდას აძლიერებს.

2. ნაფი ჯუსოითი: დედის სახე და ინდივიდუალური მეხსიერება

ნაფი ჯუსოითის „Стихи, не сказанные матери“ განსხვავებულ, უფრო ინტიმურ მეხსიერებით სივრცეს ქმნის. თუ კიბიროვთან კოლექტიური „ჩვენ“ ხშირად დომინირებს, ჯუსოითის ტექსტში ყურადღების ცენტრში ინდივიდუალური „მე“ და პირადი მოგონებაა.

ლექსის სათაურშივე მოცემული „დედისთვის უთქმელი ლექსების“ მოტივი მიუთითებს სიტყვასა და დუმილს შორის არსებულ დაძაბულობაზე. პოეტური ტექსტი აქ იქცევა იმ სიტყვების გამოხატვის საშუალებად, რომელთა თქმა უშუალო ურთიერთობის დროს ვერ მოხერხდა. შედეგად, პოეზია მეხსიერების ერთგვარ არქივად გვევლინება.

დედის სახე ტექსტში დაკავშირებულია სახლთან, ბავშვობასთან, მზრუნველობასთან და პიროვნების საწყის იდენტობასთან. დედის ხელის, სახლისა და ბავშვობის მეხსიერების მსგავსი სახეები ინდივიდუალურ გამოცდილებას უნივერსალურ ემოციურ მნიშვნელობას ანიჭებს (Джусойты, 2025).

ამ ტექსტში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს დროითი დისტანცია. მოგონება წარსულ მოვლენას უბრალოდ არ იმეორებს; იგი აწმყოში თავიდან განიცდება.

სწორედ ამიტომ, პირადი მეხსიერება შეიძლება კულტურული მეხსიერების ერთ-ერთ მექანიზმადაც განვიხილოთ: ინდივიდის მოგონება კონკრეტული ოჯახის, თაობისა და კულტურული გარემოს გამოცდილებას ინარჩუნებს.

3. შამილ ჯიქაევი: წინაპრები, მემკვიდრეობა და ლიტერატურული მეხსიერება

შამილ ჯიქაევის ტექსტები განსაკუთრებით მკაფიოდ უკავშირდება ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის პრობლემატიკას. „Наследие предков“-ში წინაპართა მემკვიდრეობა წარმოდგენილია როგორც თანამედროვე ადამიანის პასუხისმგებლობა. აქ წარსულის გახსენება დაკავშირებულია არა მხოლოდ ხსოვნასთან, არამედ მემკვიდრეობის მიღებასა და გაგრძელებასთან.

ლექსი „Баco Абаев“ კი ლიტერატურული მეხსიერების პერსონიფიცირებას ახდენს. კონკრეტული კულტურული მოღვაწის ფიგურის პოეტურ ტექსტში შემოტანა ქმნის მეხსიერების პერსონალურ მოდელს, სადაც ისტორიული პიროვნება თანამედროვე კულტურული იდენტობის ნაწილად რჩება.

ჯიქაევის პოეზიაში წინაპართა თემა, შესაბამისად, მხოლოდ წარსულისადმი ნოსტალგიას არ გამოხატავს. იგი აწმყოს კულტურულ პასუხისმგებლობას უკავშირდება: მემკვიდრეობა უნდა იქნეს არა მხოლოდ გახსენებული, არამედ გაგრძელებული.

4. თემირბოლატ მამსუროვი: ლიტერატურული უწყვეტობა

თემირბოლატ მამსუროვის „Думы“ ჟურნალის ლიტერატურული მემკვიდრეობის ხაზს აგრძელებს. მისი ტექსტის თანამედროვე ნომერში დაბრუნება საინტერესოა იმ თვალსაზრისით, რომ ისტორიული პოეზია ახალ კულტურულ კონტექსტში იკითხება.

მამსუროვის ფიგურა დაკავშირებულია ოსური წერილობითი ლიტერატურის ჩამოყალიბების ისტორიასთან. ამიტომ მისი ტექსტის ხელახალი აქტუალიზაცია ერთგვარ ლიტერატურულ გენეალოგიას ქმნის: თანამედროვე პოეზია საკუთარ წინამორბედებთან მიმართებით იკითხება.

ამგვარად, „დარიალის“ 2025 წლის ნომრები ერთდროულად აჩვენებს თანამედროვე პოეტურ პროცესს და ქმნის დიალოგს ლიტერატურული ტრადიციის წარმომადგენლებთან.

5. ვასო მალიევი: დრო, მოგონება და განშორება

ვასო მალიევის „В поезде“ სხვა ტიპის მეხსიერებით გამოცდილებას წარმოადგენს. მატარებლის სივრცე ბუნებრივად უკავშირდება მოძრაობას, გზას, დროით და

სივრცით ცვლილებას. ამგვარად, გადაადგილება ლექსში შეიძლება განვიხილოთ როგორც წარსულისა და აწმყოს, დარჩენისა და წასვლის ურთიერთმიმართების მეტაფორა.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ ტექსტი, რომელიც ადრე შექმნილ ლიტერატურულ მასალას ეკუთვნის, 2025 წლის ნომერში ახალი მკითხველისთვის ხდება ხელმისაწვდომი. ეს ფაქტი კიდევ ერთხელ ადასტურებს ჟურნალის კულტურულ-არქივულ ფუნქციას.

6. **სარაბი ჩეხოევი: ომის მეხსიერება**

სარაბი ჩეხოევის ტექსტი „Я на войне такое видел…“ ომის მეხსიერების პერსონალურ მოდელს წარმოადგენს. აქ ისტორიული გამოცდილება გადმოიცემა უშუალო მოწმის პოზიციიდან. ამგვარი თხრობითი სტრატეგია ისტორიულ მოვლენას ემოციურ და ინდივიდუალურ განზომილებას ანიჭებს.

ომის გამოცდილება ამ შემთხვევაში არ არის მხოლოდ ისტორიული ფაქტი. იგი მეხსიერების ნაწილია, რომელიც შეიძლება ერთი თაობიდან მეორეს გადაეცეს. სწორედ ამით უახლოვდება ტექსტი კულტურული მეხსიერების პრობლემატიკას: პირადი გამოცდილება დროთა განმავლობაში კოლექტიური მეხსიერების ნაწილად იქცევა.

2025 წლის „დარიალის“ პოეზიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თავისებურება ინდივიდუალურ და კოლექტიურ მეხსიერებას შორის მუდმივი მოძრაობაა. ერთი შეხედვით, ავტორთა ტექსტები ერთმანეთისგან განსხვავდება: ზოგიერთთან წამყვანია ომის თემა, სხვასთან-დედის სახე, წინაპრები, სამშობლო ან ენა. თუმცა მათი სემანტიკური საფუძველი ხშირად საერთო მეხსიერებით სივრცეში იკვეთება.

ნაფი ჯუსოითის ტექსტში პირადი მოგონება ოჯახური მეხსიერების ფორმას იღებს; კიბიროვთან ბავშვობისა და პირადი გამოცდილების სახეები კოლექტიურ „ჩვენ“-ში გადადის; ჩეხოევთან ომის პირადი გამოცდილება ისტორიული მეხსიერების მატარებელი ხდება; ჯიქაევთან კი წინაპართა და კულტურის მოღვაწეთა ხსოვნა თანამედროვე კულტურული იდენტობის საფუძვლად გარდაიქმნება.

ეს განსხვავებული მოდელები აჩვენებს, რომ კოლექტიური მეხსიერება ლიტერატურაში ყოველთვის პირდაპირი ისტორიული ნარატივის სახით არ ჩნდება. იგი შეიძლება გამოვლინდეს ოჯახურ მოგონებაში, ბუნების სიმბოლოში, წინაპრის სახეში, მშობლიურ ენაში ან კონკრეტული კულტურული მოღვაწის გახსენებაში.

ამ თვალსაზრისით, პოეზია ქმნის განსაკუთრებულ სივრცეს, სადაც ისტორიული და პირადი დრო ერთმანეთს კვეთს. წარსული აწმყოში განიცდება, ხოლო აწმყო

წარსულის მნიშვნელობას ხელახლა განსაზღვრავს. სწორედ ამ დინამიკურ ურთიერთობაში ყალიბდება მეხსიერების კულტურული ფუნქცია.

2025 წლის ექვსივე ნომრის ანალიზი აჩვენებს, რომ „დარიალის“ ფუნქცია სცდება თანამედროვე ლიტერატურული ტექსტების გამოქვეყნებას. ჟურნალში თანაარსებობს სხვადასხვა თაობის ავტორთა ტექსტები, თარგმანები, ძველი ლიტერატურული ნიმუშები და თანამედროვე პოეტური მასალა. ამგვარი სტრუქტურა თავად ჟურნალს აქცევს კულტურული მეხსიერების ერთ-ერთ მატარებლად.

ამ ფუნქციას რამდენიმე ფაქტორი განაპირობებს.

1. **ტექსტების თაობათაშორისი თანაარსებობა** - ძველი და ახალი ავტორების ტექსტების ერთ სივრცეში განთავსება ლიტერატურული უწყვეტობის განცდას ქმნის.
2. **თარგმანის ფუნქცია** - ოსური ტექსტების რუსულენოვან სივრცეში წარმოდგენა საშუალებას აძლევს ჟურნალს, კულტურული მეხსიერების შინაარსი უფრო ფართო აუდიტორიას გადასცეს.
3. **საიუბილეო და მემორიალური თემატიკა** - ომისა და ისტორიული მოვლენებისადმი მიძღვნილი ტექსტები წარსულის კულტურულ მნიშვნელობას აწმყოში ააქტიურებს.
4. **ლიტერატურული არქივის ფუნქცია** - ძველი ტექსტების ხელახალი გამოქვეყნება მიანიშნებს, რომ კულტურული მეხსიერება უწყვეტი პროცესია და იგი წარსულის ტექსტების მუდმივ ხელახალ კითხვას მოითხოვს.

შესაბამისად, „დარიალი“ შეიძლება განვიხილოთ არა მხოლოდ როგორც ლიტერატურული პერიოდიკა, არამედ როგორც კულტურული მედიაციის სივრცე, სადაც სხვადასხვა დროითი, ენობრივი და თაობითი გამოცდილება ერთ ტექსტურ გარემოში იყრის თავს.

დასკვნა

ჟურნალ „დარიალის“ 2025 წლის ექვსი ნომრის პოეტური მასალის ანალიზმა აჩვენა, რომ თანამედროვე ოსურ პოეტურ დისკურსში ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვანი სემანტიკური პარადიგმა ისტორიული და კულტურული მეხსიერებაა.

პოეტურ ტექსტებში წარსული წარმოდგენილია არა როგორც დასრულებული ისტორიული პერიოდი, არამედ როგორც აწმყოს კულტურული თვითგანსაზღვრის აქტიური საფუძველი. წინაპართა ხსოვნა, სამშობლო, მშობლიური ენა, ომის გამოცდილება, ლიტერატურული მემკვიდრეობა და პირადი მოგონება ერთმანეთთან დაკავშირებულ მეხსიერებით სისტემას ქმნის.

ამურხან კიბიროვის ტექსტებში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს „საკუთარის“ განცდა, კოლექტიური „ჩვენ“ და წინააღმდეგობის მოტივი, ნაფი ჯუსოითის პოეზიაში პირადი მეხსიერება დედის სახესა და ბავშვობის სივრცეს უკავშირდება, შამილ ჯიქაევის ტექსტებში წინაპართა მემკვიდრეობა და კულტურული მოღვაწეების ხსოვნა თანამედროვე იდენტობის საფუძვლად გვევლინება, თემირბოლატ მამსუროვისა და ვასო მალიევის ტექსტების ხელახალი გამოქვეყნება ლიტერატურული უწყვეტობის იდეას აძლიერებს, სარაბი ჩეხოევის პოეზიაში კი ომის გამოცდილება პირადი მეხსიერებიდან კოლექტიური ისტორიული მეხსიერების სფეროში გადადის.

ამასთანავე, „დარიალის“ პოეტური სივრცის მნიშვნელოვანი მახასიათებელია თანამედროვე და ისტორიული ტექსტების თანაარსებობა. ჟურნალში სხვადასხვა თაობის ავტორთა ტექსტების, თარგმანებისა და ლიტერატურული მემკვიდრეობის ნიმუშების ერთიან კულტურულ სივრცეში მოქცევა ქმნის დიალოგს წარსულსა და აწმყოს შორის.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ თანამედროვე ოსურ პოეტურ დისკურსში ეროვნული და კულტურული იდენტობა უმეტესწილად პირდაპირი დეკლარირების გზით კი არ იქმნება, არამედ მეხსიერების სხვადასხვა ფორმის ურთიერთქმედებით. პირადი მოგონება, წინაპართა ხსოვნა, ისტორიული გამოცდილება, ენა და ლიტერატურული მემკვიდრეობა ქმნის იმ სემანტიკურ საფუძველს, რომელზეც კულტურული თვითიდენტიფიკაციის განცდა ყალიბდება.

ამგვარად, „დარიალის“ 2025 წლის პოეტური მასალა აჩვენებს, რომ თანამედროვე ოსური პოეზია მნიშვნელოვანწილად აგრძელებს დიალოგს ისტორიულ წარსულთან და ამ დიალოგის საშუალებით ცდილობს კულტურული გამოცდილების შენარჩუნებას, გადაცემასა და თანამედროვე კონტექსტში ხელახალ გააზრებას. ამ პროცესში თავად ჟურნალი გვევლინება არა მხოლოდ ლიტერატურული ტექსტების გამომცემლად, არამედ კულტურული მეხსიერების მნიშვნელოვან საშუალებად.

ბიბლიოგრაფია

Anderson, B. (2006). *Imagined communities: Reflections on the origin and spread of nationalism* (Rev. ed.). Verso.

Assmann, J. (2011). *Cultural memory and early civilization: Writing, remembrance, and political imagination*. Cambridge University Press.

Assmann, J., & Czaplicka, J. (1995). Collective memory and cultural identity. *New German Critique, 65*, 125–133.

Halbwachs, M. (1992). *On collective memory* (L. A. Coser, Ed. & Trans.). University of Chicago Press.

Olick, J. K., Vinitzky-Seroussi, V., & Levy, D. (Eds.). (2011). *The collective memory reader*. Oxford University Press.

Чехоев, С. (2025). Я на войне такое видел… В *Дарьял*.

Джикаев, Ш. (2025). Наследие предков. В *Дарьял*.

Джикаев, Ш. (2025). Васо Абаев. В *Дарьял*.

Джусойты, Н. (2025). Стихи, не сказанные матери. В *Дарьял*.

Кибиров, А. (2025). Свои мы в жизни настоящей. В *Дарьял*.

Малиев, В. (2025). В поезде. В *Дарьял*.

Мамсуров, Т. (2025). Думы. В *Дарьял*.

Дарьял. (2025a). *Дарьял 2025-1*.

Дарьял. (2025b). *Дарьял 2025-2*.

Дарьял. (2025c). *Дарьял 2025-3*.

Дарьял. (2025d). *Дарьял 2025-4*.

Дарьял. (2025e). *Дарьял 2025-5*.

Дарьял. (2025f). *Дарьял 2025-6*.